ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 18

2018 წ. „17" 05

ქ. თბილისი

**„შპს ცოდნის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №93 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. ცვლილება განხორციელდეს „შპს ცოდნის ავტორიზაციის შესახებ" (ს/კ238730931) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №93 გადაწყვეტილებაში და შპს ცოდნას პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60 - ით, პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ზღვრული რაოდენობები გადანაწილდეს შემდეგნაირად:

| | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რკინიგზის ელექტრომოძრავი შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოსი | მესამე | რკინიგზის ელექტრომოძრავი შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040753 | 90 | ქართული | 15 | სამტრედია, ბ. კრავეიშვილის ქუჩა №1 |
| 2 | სარკინიგზო გადამზიდავი | მესამე | სარკინიგზო გადამზიდავის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040754 | 60 | ქართული | 15 | სამტრედია, ბ. კრავეიშვილის ქუჩა №1 |
| 3 | მელიანდაგე | მესამე | მელიანდაგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040667 | 90 | ქართული | 5 | სამტრედია, ბ. კრავეიშვილის ქუჩა №1 |
| 4 | სავაგონო მეურნეობის ელექტრომექანიკოსი | მესამე | სავაგონო მეურნეობის ელექტრომექანიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040756 | 90 | ქართული | 5 | სამტრედია, ბ. კრავეიშვილის ქუჩა №1 |
| 5 | რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსი | მესამე | რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040752 | 90 | ქართული | 8 | სამტრედია, ბ. კრავეიშვილის ქუჩა №1 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | ოფისის მენეჯერი | მესამე | ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020356 | 60 | ქართული | 6 | სამტრედია, ზ. კრავეიშვილის ქუჩა №1 |
| 7 | ბუღალტერი | მესამე | ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020151 | 30 | ქართული | 6 | სამტრედია, ზ. კრავეიშვილის ქუჩა №1 |

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 17 მაისის № 6 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე

მდივანი